



შ ი ნ ა პ ა რ ს ი

ეურნალ „ჯ ე ჯ ი ლ ი ს ა“.

| | | |
|-------|---|----|
| I | ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ე რ ბ ი — ს უ რ ა თ ი | 2 |
| II | ბ ა ვ შ ე ბ ს — ლ ე ქ ი გ . ჭ უ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს ა | 3 |
| III | ვ ი ნ ე ტ ყ უ მ დ ა ი მ ა თ ! | 4 |
| IV | ბ ა ნ ა მ ბ ა — მ ო ნ ა დ ი რ ი ს ნ ა მ ბ მ ბ ი | 5 |
| V | რ ა თ ა რ გ ა ვ ხ დ ი მ ო ნ ა დ ი რ ე ! (თ ა რ გ მ ა ნ ი) ფ ა ს ი ს ი | 6 |
| VI | ლ ი კ ლ -ტ ი კ ლ ი ს ე შ მ ა კ უ ბ ა . ლ ი კ ლ -ტ ი კ ლ ი მ ო ზ ვ ე რ ზ ე ს ე ი რ ნ ი ბ ს — ა ნ . წ ე რ ე თ ლ ი ს ა | 10 |
| <hr/> | | |
| VII | გ ი გ ლ ა დ ა გ ო გ ი ა — ლ ე ქ ს ი შ ი ი მ ლ ვ ი მ ე ლ ი ს ა | 23 |
| VIII | კ ე ნ ჭ ა მ ბ ა — თ ა რ ა მ ა ჩ ა ბ ე ლ ი ს ა | 24 |
| IX | მ შ ვ ე ნ ი ე რ ი დ ე ლ ი ფ ა ლ ი გ ი უ ლ ი ზ ა რ ი . ა ქ ა რ ე ლ ი ზ ლ ა პ ა რ ი (რ უ ს უ ლ ი დ ა ნ) შ გ . გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ს ა | 31 |
| X | კ უ წ ი დ ა მ ი ს ი ა მ ხ ა ნ ა ვ ე ბ ი . რ ო გ ო რ ც ხ ვ რ ი რ მ ბ დ ა ე რ თ ი ძ უ მ გ ე ლ ი . (თ ა რ გ მ ა ნ ი) ა ნ . წ ე რ ე თ ლ ი ს ა | 39 |
| <hr/> | | |
| XI | თ ო ლ ი ა — ლ ე ქ ს ი შ ი ი მ ლ ვ ი მ ე ლ ი ს ა | 44 |
| XII | ნ ა პ ა რ ა — ს ე ლ მ ა ლ ა გ ე რ ლ ო ფ ი ს მ ო თ ხ რ ი ბ ა , თ ა რ გ მ ა ნ ი ე ლ . დ ე მ ო ლ ი ნ — წ ე რ ე თ ე ლ ი | 46 |
| XIII | ლ ტ რ ი ლ ვ ი ლ ე ბ ი — ა მ ბ ა ვ ი ე კ . გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ს ა | 55 |
| XIV | ს პ ა რ ტ ა კ ი — (დ ა ს ა ს რ უ ლ ი) დ . კ ა ს რ ა ძ ი ს ა | 58 |
| XV | პ ა ტ ა რ ა ბ ო შ ა . — (თ ა რ გ მ ა ნ ი) ე კ . მ ე ს ხ ი ს ა | 61 |

შ უ რ ნ ა ლ ი „ჯ ე ჯ ი ლ ი“

1919 წ ე ლ ს .

(ო ც დ ა თ ი წ ე ლ ი წ ა დ ი ს რ უ ლ დ ე ბ ა პ ი რ ვ ე ლ ი ა ნ ვ ა რ ს)
გ ა მ დ ა ა რ ა ნ ა კ ლ ე ბ 6 ნ ო მ რ ი ს ა , რ ა დ გ ა ნ მ ე ლ ი პ ი რ ი ბ ე ბ ი ს გ ა მ რ ა რ ე დ ა ქ ც ი ა ვ ე რ შ ე ს ძ ლ ე ბ ს ს რ უ ლ ა დ დ ა კ მ ა ყ უ მ ფ ი ლ ი ს ხ ე ლ ი ს მ ო მ წ ე რ ლ ე ბ ი . ე უ რ ნ ა ლ ი „ჯ ე ჯ ი ლ ი“ წ ლ ი უ რ ა თ ე ღ ი რ ე ბ ა 20 მ ა ნ .

ც ა ლ კ ე ა ხ ა ლ ი ნ ო მ რ ი ს ფ ა ს ი 5 მ . ძ ვ ე ლ ი წ ლ ე ბ ი ს ნ ო მ რ ე ბ ი თ ი თ თ წ ლ ი ს 14 მ . ვ ი ნ ც ი ყ ი დ ი ს ა თ ე ვ ზ ე მ პ ლ ი ა რ ზ ე მ ე ტ ს — ი მ ა ს დ ა ე თ მ რ ა ბ ა 12 მ ა ნ .



საუმაწვილო ნახატებიანი პურნალი.

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო.

ი. ღ.

აგვისტო, და სექტემბერი 1919 წ.

წელიწადი აცდამეათე



თბილისი

საქართველოს რეინის გზის ტიპო-ლიტოგრაფია
1919



თავისეუფალი საქართველოს პერი.



ପାଖିଯାଙ୍କ.

ତାଙ୍କୁ ଶ୍ରେଷ୍ଠଗ୍ରେସଲ୍ ଯେ ବାଜିଥିଲୁ,
କ୍ଷେତ୍ର ଧରିଦୂର କରିଯାଇଲୁ;
କାହାର କାହାର କାହାର କାହାର
କାହାର କାହାର କାହାର କାହାର.

ରାତରିର ରାତରିର ରାତରିର
ରାତରିର ରାତରିର ରାତରିର
ରାତରିର ରାତରିର ରାତରିର
ରାତରିର ରାତରିର ରାତରିର.

ରାତରିର ରାତରିର ରାତରିର
ରାତରିର ରାତରିର ରାତରିର
ରାତରିର ରାତରିର ରାତରିର
ରାତରିର ରାତରିର ରାତରିର.

ვინ ეტყოდა იმათ!



რომა ბუნების მეტეველმა თო-
კით შატარა ქოთანი ჩამოჰკიდა,
შიგ ჩაებრა შაქრის ფხვნილი
და ჩასვა ერთი ჭინჭველა. გა-
მოძღა ლაზათიანით ჭინჭველა.
მერე თოკით ავიდა მაღლა ჭე-
რამდის, იქიდან კედელ-კედელ
ჩამოვიდა და გაეშურა თავის
ბინისაკენ.

შატარა ხანს შემდეგ ისეგ უკან დაბრუნდა რამ-
დენიმე ამხანაგებით. ისინი ავიდენ ჭერში და მერე
თოკით დაეშვენ ქოთანში და დაესიენ შაქრის
ფხვნილს.

მალე სხვა ამხანაგებმაც შეიტყეს და ერთიანათ
გაეშურენ შაქრიან ქოთნისკენ.



განაოგა,



მონადირის ნააშშობი.

გ ე დაგხეტიალობდი ტუქში. მოღალული დაგვჯერ დასასკვენებლათ წეაროსითან. მოულოდნელათ მეწვია დედა დათვი ორი პატარა დათუნიებით. რასაკვირველია კერ შემძინდა. სული გავანაბე და სელი თოფისკენ გავიწიე. მაგრამ როდესაც დავინახე, რომ დედა დათვი, შვილების ზრუნვით გატაცებული, უურადღებას არ მაქცევდა, დაკუწევ თვალიერება. დედა დიდი მუკაითობით მოჰქვა შვილების ბანაობას წეაროში.

მან კერ ერთ შვილს მოჰქიდა კბილები კისერუმი და ჩააუკრევუმელავა რამდენჯერმე წეალში.

დათუნია ქმვინავდა, სულს ძლივს იბრუნებდა, მაგრამ სმას არ იდებდა.

მეორე დათუნია ნაღვლიანათ შესცეკოდა ამ ბანაობას. ადრევე თრთოდა, რადგან მასსაც ეს ამბავი მოელოდა, იღმიჲებოდა, უნდოდა თავი დაეღწია, გაქცეულიერ, მაგრამ დედა მუქარით ბურდღუნებდა და დათუნიაც მოთმინებით დაემორჩილდა თავის ბედს.

როდესაც დედა შვილების ბანაობა გაათავა, ერთი ლაშათიანათ გაუბერტება ბეწვი და რაჭასი ისეგ ტუქში გაბრუნდა მხიარულათ.

რათ არ გავხდი მონაღირე!



დიდი სხის ამბავს მოგახსენებთ.
ვიქნებოდი ასე ჩვიდმეტი წლისა.
ოთვი მქონდა და როგორც კი ჩა-
ვიგდებდი თავისუფალ დროს, მიგ-
რბოდი სინადიროთ. ჩვეულებრივ
ჩემი ნადირობა ის იუო, რომ ვეს-
როდი ორბებს, ჯაფარებს, მოლა-
ლურებს, მაშვებს და სხვა წვრილ-
ფრინველებს. შინაურებიც და გარე-
ულებიც სშირათ დამცინოდენ და „უბედო მონადირეს“
მეძახდენ. ამ გვარი დაცინვა და მასხარათ აგდება
უფრო მიცხოველებდა ნადირობის სურვილს. მინდოდა
უველა გამეგვირვებინა, უველასთვის მეჩვენებინა, რომ
შე ნამდვილი მონადირე ვარ.

მინდოდა მომეკლა რომელიმე დიდი ნადირი. ვიშო-
ვე ტევია-წამალი და ჩემი თოუი გავტენე. რადგან
გამოუდეველი ვიუავი ნადირობაში, რასაკვირვე-
ლია, ვერაფერს გავაწეობდი. თვალითაც კა გერა-
ვნახე ნადირი. მაგრამ არას ვეპუებოდი და უფრო
დიდი მოთმინებისა დავხეტიალობდი მთა-გორასებზე
იმ იმედით, რომ ხელში ვიგდებ რომელიმე ნადირს.

მართლაც, მალე მომეცა შემთხვევა. ერთსელ,
მოელი დღის უსარგებლო სეტიალის შემდეგ, მიგვე-
ჭი წეაროსთან მინდორში, რბილ ბალასზე, საიდანაც

მშვენიერი სანახაობა მოჩანდა.

კარგა დიდ სანს ვიუავ ასე განცხომაში, ამ მწვანე სავერდის სალიჩაზე წამოწოლილი—უცხათ ძემომესმა ფოთლების ძრიალი, მივიბრუნე თავი ხევ ებისკენ და სული გავნაბე. ამ დროს, სულ ახლოს, წეაროსთან, ნელი ნაბიჯით მოდიოდა შველი, კისერი წინ წაეგდო და უურებს აფართხუნებდა.

ღმერთო ჩემი, რა მშვენიერობას წარმოადგენდა ეს ცხოველი! ხშირი, მოუვითალო რუსი ბალანი ამკობდა მის ლამაზ სხეულს და თანდათან ბაც ფერათ გამოიურებოდა. ბარძაუბი სულ თეთრი ჭირნდა. მაღალი, კარგათ მოუგანილი ფეხები შეეფერებოდა მის ცოტათი ჩავარდნილ ფერდებს, მისი მოძრავი, ვიწრო უელი თავდებოდა გრძელ უურებიან პატარა თავით.

ამ ტურფა შველის დიდრონ თვალებში გამოიხატებოდა სიმშეიდე და სიკეთე. საოცარი ნარნარი და მარდი მიმოსვლა ჭირნდა.

მე თრთოლა დამაწეუებინა. თვითონაც არ ვიცი, როგორ ვტაცე სელი თოფს, ფიქრათ არ მომსიგლია გასროლა. მოჯადოებულივით ვიწექი და თვალს არ ვაშორებდი შველს. პატარა ბუჩქი მფარავდა, მაგრამ შველმა მოიხედა, თვალი შემასწრო. სხვაფრივ ვერ მოვიქცეოდი, სანამ მოასწრებდა გაქცევას, ვესროლე თოფი. შველმა ერთი ნახტომი კი მოასწრო, შეფართხლდა და ბალაზე დავარდა.

მხეცივით უიშინი დავცი და სისარულით მიგზარ-
დი ჩემს მსხვერპლს. ის ჯერ ცოცხალი იქო. მისი
ძელიდიდან სისხლი ღელესავით გადმოდიოდა და მის
ბეწვს ალისფრთ ღებავდა, საბრალო ლამობდა წა-
მოდგომას და ჩლიქებით მიწას ჩიჩქნიდა, თავს მაღ-
ლა იწევდა, მაგრამ ღონე მისდილი ისევ მირს ეცე-
მოდა. მერე მის თვალებზე დავინახე კურცხლი
ცრემლები—ამან ხომ სულ შემაწუხა, გადამრია. აქა-
მდის გერც კი წარმოგიდგენდი, რომ ბირუტეგვსაც
შეუძლიან ტირილი. დაკოდილმა გადმომხედა და თი-
თქოს საუკედურით მეუბნებოდა: „რა დაგიძავე, რათ
მოქალ!“ ვეღარ შევიკავე თავი, თოვი შორს გადა-
ვისროლე, კისერზე მოვეხვიე საბრალოს და მსურ-
ვალეთ დავუწევ კოცნა.

მე იმას სხვა და სხვა ალერსიან სახელებს ვარქ-
მევდი, ჰატიებას ვენერებოდი ტანჯვისათვის: ოჭ,
რომ იცოდეთ რა სიამოგნებით წავიღებდი უკან იმ
უბედურ ტექიას! წინეთ სულ იმ ფიქრში ვიუავ, რო-
გორ მომეკლა შველი. ახლა მრცხვენოდა, რომ გულ
ში ვიტარებდი ამ აზრს! რათ უწუუროდა აგრე შველის
მოკვლა? მინდოდა სხვებისგან ქება-დიდება მიმედო
და მეჩვენებინა ჩემი სიმარჯვე ნადირობაში! ამისთა-
ნა უღირსი სურვილისთვის გავხდი უმწეო ბირუტ-
ევის მკვლელი! მერე რა ვერაგულათ, მალგით, ავა-
ზაკურათ ვესროლე თოვი! იქნებ ნუკრიც ჰეზვდა გა-
მოსაზრდელი... უდედოთ რაღა აცოცხლებს... უსა-

თუოდ დღესვე მელიას კბილებს, ან გარეული კატის კლანჭების მსხვერპლი გახდებიან. იმათ სიკვდილშიაც ხომ მე ვიქები დამნაშავე! შე მეგონა რომ ქვეუაზე ამაზე ბძიმე და დიდი დანაშაულობა არ იქნებოდა. რასაკვირველია, გვიანდა იუო ჩემი სინაცული ამით შველს ტანჯვა არ შეუმსუბუქდებოდა. ის თრთოდა, ცახცახებდა, თავს სმირ-სმირათ მაღლა იღებდა, ბირს აღებდა, სარბათ კლანავდა ჰავრს. თავი ისევ ისე უღონოთ ვარდებოდა ჩემს კლავებზე, საბრძლო სიცოცხლის ნიშნებს ჰყარგავდა, თხნდათან ვეღარ მომრაობდა, სუნთქვა ემძიმებოდა. ბოლოს ერთი ღრმათ ამოისუნოქა, შეფართხალდა, ფეხები და თავი კაჭიმა და სული დალია.

დიდხანს ვიჯექ ჩაფიქრებული, მარე წამოვდექი, მკვდარს სექბის ტოტები დავათარე და ნელის ნაბიჯით დავბრუნდი სახლში. მსოლოთ სახლში მომავონდა, რომ იქ თოვია დამრჩა და ისევ მომიხდა უკან დაბრუნება. მარტო არ წაველ, მოჯამავირე გამატანეს შვლის წამოსადებათ, სახლში სულაც არ მინდოდა მეამბნა, რომ მოგებლ შველი და არც მინდოდა მიძეღო ვისგანმე მარჯვე სროლისთვის ქება დიდება. ეს რაო ჩემი ბირველი და უკანასკნელი ნადირობა. ამის წეალობით გავიგე რა სასტიკ ტანჯვას აუენებენ ბირუტევებს მონადირენი. აღრეც, ფრინველებზე რომ ვნადირობდი, არც ერთხელ არ გამიტარებია ფიქრში რა სისასტიკეს ჩავდიოდი. მაგრამ შველის ტანჯვამ და სიკვდილმა ნათლათ დამანასვა, რომ საკუთარი, უბრალო სიამოვნებისთვის სიცოცხლეს ვუ-სპობთ ბირუტევებს.

არ, რათ არ გავხდი მონადირე!

ცახო.

ლიკლ-ტიკლის ეშაპობა.

ლიკლ-ტიკლი მოზვერზე სეირნობს:

იკლ-ტიკლი აფათ გახდა უივანა ხველით. უივანა სველა ძალიან მოსაწევენი აფათმეოუფობაა. წამ და უწუმ ხანგრძლივი უივილით ხველა რაღაც აფათმეოუფ ძალლსა და ქატას მიაგვანებს უმარტვილს. ლიკლ-ტიკლის სცხვენოდა კიდეც ამნაირი აფათმეოუფისა.

ჯერ სრულებით არ იუო მორჩენილი, ისევ ჯერა მკრთალი და გამხდარი იყო, ექიმმა რომ ურჩია ჭარი გამოუცვალეთ, სოფელში გაისტუმრეთო. თვითონაც ჩქარობდენ, ლიკლ-ტიკლის მშობლები, რომ „ჭიჭიინას“ არ ჩამოესწრო სოფლიდან და არ შეჭროდა უივანა სველა. სწორეთ იმ დღეს, როდესაც ექიმი დარიგებას აძლევდა, ლიკლ-ტიკლის დედის სანახავათ მოვიდა ერთი მისი მეგობარი ქალი, რომელსაც ტიკლი უმახდა ძალუა პოლიას, თუმცა ეს ქალი სრულებით ნათესავოც არ იუო.

— ნუდარ დააგვიანებთ, დღესგან წავიუგან ჩემთან, წამოიძახა ძალუა პოლიამ! ჩემმა ქალმა მოლლიმ უივანა სველა ისადა კიდეც და, რაც მშები წავიდენ, სრულებით მარტოკაა. რანაირათ გაისარებს ლიკლ-ტიკლის ნახვას. უნდა უსათუოდ გამოუშვათ ჩემთან. ზირგელათ მოხდა, რომ ლიკლ-ტიკლი მარტო

წავიდა სტუმრათ.—არც დედა, არც გადია თან არ
გაჰქოლიან.

მნელი წარმოსადგენია რა მშვენიერ ადგილას
ცხოვრობდა მალუა პოლია. სახლი დიდი იუო, ერთ
სართულიანი, გრძლათ ჩამწკრივებული ოთახებით.
ვარდებიდან დაწეებული რა უკავილები გინდათ სულით
და გულით, რომ იმ სახლის წინ არ ეოფილია
იუო. სახლის უკან მშვენიერი ფიჭვის დიდი ტექი იუო.
სახლის აქეთ-ტით გადაშლილი იუო უკავილებით
მოფენილი თვალუწვდენელი მინდორი და ძიგა და
შიგ მაღალი ხეები. ვეებერთელა ბაზიც მარწევით,
ეოლოთი და მწვანე ვაშლებით იუო სავსე. უკელაზე
საუურადღებო კი ის იუო, რომ ამ ბაღში შენბოდ-
გამორბოდენ მრავალი თრითონები და ბაჭიები. ლიკლ-
ტიკლმა აღტაცებით შეჰქიფლა, როდესაც ბაღში შედ-
გა ფეხი. მალუა პოლიამ უთხრა—ეს ის ბაღია, სა-
დაც ბაჭია პიტერი შერბის სოლმე სახვის და სა-
ლაბოის მოსაბარბაზათო.

ჩრდილოეთით ბაღი ტექს სწვდებოდა და იქ,
ნაძვსა და წიფელას შუა, მინდვრის ლურჯ უკავილე-
ბში, მოხანდა ბაჭიების სოროები. ლიკლ-ტიკლი გა-
წვებოდა სოროსიან და ნელა-ნელა, რომ არ შეეში-
ნებინა ბაჭია—უძახოდა: პიტერ, ბანჯგვლიანო, კუ-
დოსანო, გამოდი, მეჩვენე! მაგრამ ბაჭიას ვინ ნახა-
ვდა. ლიკლ-ტიკლმა ერთხელ თავისი პატარა, თეთ-
რი ბანჯგვლიანი სათამაშო მაიმუნიც კი ჩასვა სო-



როში, იქნება ამის დანახვაზე ბაჭიები გამოჩნდენ. მაგრამ, როდესაც უცაბედათ მისი მაიმუნი ღრმათ ჩაეშვა სოროში, ლიკლ-ტიკლს შეეშინდა — ბაჭიებთან არ დარჩესო. გადიამ დიდი გაჭირვებით, ქოლგის ტარით, ამოათორია იქიდან მაიმუნი.

ხშირათ ლიკლ-ტიკლი ბაფში ემებდა ბაჭია პი-ტერის ნაკვალევს, მაგრამ ნაკვალევი ჩვეულებრივი იქო ხოლმე, ისეთი, როგორც უოველი ბაჭისა. არც მის ფეხსაცმელისა და არც ჩასაცმელის შეგავს რა-მეს სედავდა, როგორც მის საუკარელ წიგნში იქო დახატული, თუმცა გულმოღვინეთ დაემებდა. სხვის ნაკვალევს, მაგალითად — ძველის ან ირშისას — კი მი-აგნებდა წელის დასალევათ შახლობელ ტუდან რომ გამოდიოდენ.

მეტათ საუკადღებო იქო ამ მშვენიერ ადგილას განიერი ვერცხლოვანი მდინარე, რომელიც ზედ სახლს ჩამოუდიოდა.

ლიკლ-ტიკლის საწოლ ოთახის ფანჯარასთან ვარდები ბლომათ ერგო და ბავშს დამზამობით მდი-ნარე ტკბილი ნანით აძინებდა. თუ ლიკლ-ტიკლს გა-მოედვიმებოდა, ეს კი იშვიათად მოხდებოდა, მდინა-რე, როგორც კეთილი გადია, ტკბილათ უდუღუნებდა: „იძინე, იძინე.“ და ბავშს პაშინვე ჩაეძინებოდა. და-ლით, როდესაც გამოედვიმებოდა და შიირბენდა ფან-ჯარასთან, მდინარე მზეზე ელგარებდა კიდევაც და მხიარულათ გაჭირნდა მუილი.



ქალაქი ამათგან სულ ახლოს იუ. მაღუა პო-
ლიას და ბიძია კორჯის ჭერნდათ დიდრონი ბაზე-
ბი, ტუ და მინდორაველები. სახლთან ახლოს კი
კარგათ მოწეობილი მეურნეობა. ლოკლ-ტიკლს მა-
ლიან მოსწონდა აქ სტუმრობა,—ბევრი ღორები იუ-
ვენ, ქათმებს საკენკს უურიდა, კვერცხებს ძებნიდა,
დიდრონ ცხენებს შეახტებოდა, ლამობდა. მროსების
მოწველას. მოლლი ერთი წლით უფროსი იუ ლოკლ-
ტიკლზე და აქ ეოფნა დიდათ არაფრად მოსწონდა.

ლოკლ-ტიკლის საქმე სულ სხვა იუ. სმირნათ
უკან აედევნებოდენ ბლავილით, ზოგჯერ ორი-სამი
პროსა, მაგრამ იმას არც ეშინოდა და არც უ-
რადღებას აქცევდა. იმას უკელაუერი აკვირებდა,
უკელაუერი აღელვებდა და შიშიაც გრძნობდა,
მაგრამ ბოლოს უკელაუერს შეეჩია, გაბედვით ცო-
ცავდა ხეებზე და დროს შშენიჭრათ ატარე-
ბდა. მაღუა პოლია კეთილი დედა იუ. იშვიათათ
ოუ გაჯავრდებოდა. როდესაც ემაწვილები დაგლეჯი-
ლი კაბით და დაფხაჭნილი სახით მიუახლოვდებოდენ
და უჩვენებდენ დაფლეთილ ასალ კაბას, დედა ერთს
კი გადახედავდა და იტეოდა, რა საშინელებაა! გა-
იქციო გადიასთან და უჩვეექთ. მერე ისეგ მებაზე
მიუბრუნდებოდა და უგავილებზე განაგრძობდა ლაპა-
რაკს.

რაც შეეხება ბიძია კორჯის, ის ჩვეულებრივ თა-
ვის ოჯახის მეურნეობას მისდევდა და ლოკლ-ტიკლი

მას მხოლოთ სადილობის დროს ხედავდა. ერთს კი გაუღიმებდა უმაწვილებს, მერე ფიქრებს მიეცემოდა, არ უვარდა ლაპარაკი. უკელაზე მეტათ გადიამ იცოდა ბუზღუნი და ჯავრობა, მაგრამ მოლლი მალიან უვარდა და იმას კიდეც ანებივრებდა.

მოლლის და ლიკლ-ტიკლის ჩაის დროს ორი საათითაც რომ დაჭვებიანებოდათ, გადია თუმცა ბუზღუნს არ დაიძლიდა, მაინც ერბოლკვერცხებსა და ან სსვა რაძეს აჭმევდა.

ერთხელ მოლლის და ტიკლმა მთელი დღე საუკინიბოში გაატარეს. გადია, თუმცა ჯავრობდა—მაინც უზიდავდა იქ საუზმეს, სადილს და ვასმამს. ერთხელაც უმაწვილები თამაშობდენ—ვითომ ზღვაზე დელფა იქო. ესენი თრიკენი ზღვის ტალღებს გადმოგვდო გემიდან გავერანებულ კუნძულზე, კ. ი. იმათი ბაღის ერთ კუთხეში. გადიას მაშინ დიდი წვალება შეხვდა. უმაწვილებს საჭმელ-სასმელს უზიდავდა და ისინი, ვითომ და გავერანებულ კუნძულზე იუვენ—შემქეოდენ ბუდინგს და სხვა ტკბილეულობას. ნაღებსაც კი მიაწოდებდა გადია, თუმცა ბუზღუნით ეუბნებოდა; „თქვენისთანა დაუდგრომელი ბავშები განა საღმე მოიპოვება—“ თ.

მათ თამაშობის დროს მეგობრათ ჰევანდათ მეჯინიბეს გოგო თინა. ეს წითელ-ლოუა, ლურჯ-თვალება და მოწითლო თმიანი უმაწვილი მალიან კუთილი იქო, ლიკლ-ტიკლის ოდენა იქნებოდა, სახალ-

ხო სკოლაში სწავლობდა და თამაშობაში, როდესაც ცხენობანას თამაშობდენ, არ ჩამოურჩებოდა, ცხენათ შეებმებოდა და თმებს ფაფარივით აურიალებდა.

თინამ ასწავლა მოლლის და ლიკლ-ტიკლს კოჭინიას თამაშობა, ემაწვილები ისე ერთობოდენ, რომ მოუთმენლათ ელოდენ ხოლმე თინას სკოლიდან დაბრუნებას. შორიდან დაინახავდენ თუ არა თინას, მიაირბენდენ კოჭებით და დაღამებამდის განუწევეტლივ თამაშობდენ. ლიკლ-ტიკლი მუდამ წაგებული რჩებოდა.

ერთ მშვენიერ დღეს ამათ ოჯახში დიდი აურჩაური ატურა, სტუმრათ ელოდენ გილაც სახელოვან ჯონს.

საჭმლის გამკეთებელი დედაკაცი შფოთავდა ბეჭრი სამუშაოს მოლოდინში. მოლლი და ლიკლ-ტიკლი, რომელიც ვითომ და სამველათ მივიზენ მასათან სამზარეულოში, სულ პანღურის კვრით გამოაგდო. ემაწვილებს სადილი ადრევე აქამეს და მოიშორეს თავიდან.

ემაწვილებმა, რომ დაინახეს თინა სკოლიდან ბრუნდებაო, დასახვედრათ გაიქცენ. ლიკლ-ტიკლს მისთვის ფერადი კოჭების საჟიდლათ ფული მიეცა. მართლაც, თინას მალიან ლამაზი კოჭები ეუიდა, მაგრამ ლიკლ-ტიკლმა ეველა კოჭები წააგო და გააკავრებული წამოიძახა:

— მე უნდა წავიდე და საქონელს საჭმელი და გუეაროვ.

სამივე ერთად გაექანენ. ერთი მეორეს ეწეოდა,
სანამ ბოსელს არ მიუახლოვდენ. იქ არ დაუხვდათ
ის მოხუცი, რომელიც ჩვეულებრივ აჭმევდა საქო-
ნელს, ვერც ბოსლის გასაღები იპოვეს.

— ეს სულ გადიას საქმეა, წამოიძახა მოლლიშ,
ის ეტეოდა მოხუცს, საქონელთან არ მიუშვა ბავშე-
ბიო. ეშინიან რომ ნამგლით ხელი არ გავიწირათ.
რა ვუეოთ ახლა! თუ შენი წინსაფარი, თინა, გა-
დაგიჭერ ნამგალით ეს იმიტომ მოხდა, რომ სულ
სხვა მხარეს ვიყენებოდი.

ემაწვილები მალიან შეწუხვდენ, არ იცოდენ რო-
გორ გართულიუვენ. თინამ ახლა დროზე უამბო—
ბაკში ბეგო სულ პატარა სბოებიაო.

— იცით — რქები სრულებით არა აქვთ. მხოლოთ
ერთს მოდიდო სბოს აქვს სულ პატარა რქები!..

უველანი სრუნვით გაექანენ ბაკისაკენ. სბოების
სანახავათ. დობეზე გადასტენ. ეტეობოდა სბოები ლა-
ზათიანათ გამძღარიუვენ და თივაზე იწვენ. არც ერ-
თი მათვანი ადგილიდან არ დაიძრა.

— რა მშვენიერები არიან, წამოიძახა ლიკლ-ტი-
კლმა, — ნეტავი ერთი ჩემი იუთს!

— მერე რას იზამდი, შე სულელო, სიცილით
უთხრა მოლლიშ.

ლიკლ-ტიკლმა თვითონაც არ იცოდა რათა თქვა
ეს. მერე ერთბაშათ წამოიძახა:

— შევჯდებოდი და გავისეირნებდი!

მოლლის გაუკვირდა, ერთ წამს შეფიქრიანდა,
მერე ზიზღით წამოიძახა:

— მაგაზე როგორ შეჯდები, შე სულელო!

მოლლის ასე ზიზღით ნათქვამი სიტევები ლიკლ-
ტიკლს გულზე მოხვდა და დაუფიქრებლათ, შეუპო-
ვრათ უპასუხა:

— მალიან კარგათაც შევჯდები! აბა, ნახავთ, თუ
ვერ მოვახერხო.

— აგრე იუთს! განაგრძო მოლლიმ,—ახლავე გა-
ისეირნე! დაგვანახე, მოზვერზე როგორ ისეირნებ.

მოლლიმ ეს სიტევები რომ წარმოსიქა, ცხვი-
რი ხელ-ახლა ზიზღით აიწია, თინამაც იმას მიშბამა:

— აბა, მართლა, გვიჩვენე როგორ ისეირნებ მო-
ხვერზე!

მოზვერის სექნებაზე ლიკლ-ტიკლი უფრო გა-
ანჩხლდა, თინას რომ ესექნებინა გველეშაპებზე გა-
ისეირნეო, მაშინაც არ დაიშლიდა თავისას უმა-
წვილი.

— მალიან კარგი, ნახავთ თუ მოზვერზე არ გა-
ვისეირნო.

— თუ შენ ამ კარ-მიდამოს შემოივლი—მე თორუ-
მეტ კოჭს მოგცემ, წამოიძახა მოლლიმ,—და თუ ორ-
ჯერ გაივლი, მაშინ ოცდაოთხს.

— მეტ აგრე ვიქ! დაუმატა თინამ.—იმ დიდ ლურჯ
კოჭსაც გაჩუქებ.

— მალიან კარგი, დაეთანხმა ხელ-ახლა ლიკლ-

ტიკლი და თვალი გადაავლო ეზოს.

რომ ეჩვენებინა, არ ვშიძობო, მამაცათ მიუახ-
ლოვდა მახლობლათ მუოვ ხბორებს. ოოგორც კი
მივიდოდა ახლოს რომელიმე ხბოსთან, ხბო წამოხ-
ტებოდა და გაიქცეოდა. მოლლი და თინა სცილით
კვდებოდენ. ლიკლ-ტიკლის უფრო ჯიბრით უნდოდა
თავისი ნება აესრულებია და მოზვერზე შეჯდომა.
მოეხერხებინა. სულ გაექცენ, ბოლოს დარჩა ორი—
ერთი თეთრი და მეორე თეთრ სალებიანი, დიდი წილ
თელი მოზვერი. ლიკლ-ტიკლი ფრხილათ მიეპარა
თეთრ მოზვერს და ის იუო, უნდა ზედ შემჯდარიულ,
რომ გაექცა. მოლლი და თინა სელ-ახლათ მოჭუვენ
ხმა მაღლა სიცილს.

მაშინ ლიკლ-ტიკლი ძალიან ფრთხილათ მიეპარ-
ა ერთ დიდ მოზვერს, რომელსაც ორი წვეტიანი რქა
ჭერნდა და უცბათ შეახტა მას მტვრიან ბეჭებზე. ეს
ისე სწრაფათ მოხდა, რომ მოზვერმა თავი ვეღარ
დააღწია. ის კი იტრმო, რომ ვიღაც მას ფერდებში
სცემდა—კუდი აიშვირა, თავი მირს დაუშვა და ეზო-
ში გაექანა. ლიკლ-ტიკლი თავს ძლივს იმაგრებდა.
უაფარი არა ჭერნდა, როგორც ცხენს, რომ სელი
მოეკიდნა და შიშობდა სადმე გადამისერისო. მოლლი
და თინა ხმა ამოუღებლივ, თვალებ დაჭეუტილნი, შეს-
ცეროდენ. ეგონათ, რომ მოზვერი ეს ეს არი სადა
მე დაახეთქებსო. ლიკლ-ტიკლი მოზვერს კისერში
ჩაეჭიდა და ამითი უფრო შეაშინა პირუტევი.



ემაწვილმა ერთბაშათ იგრძნო, რომ მოზეერი
ადამ გარდის, მისი ფეხები ჭავერში ატრიალდა, ლიკლ-
ტიკლი გაცურდა წინ, რაღაც საშინელ წევტიან რქა-
ზე და შორს, შორს ტეატანი გასძვრა. მერე მოეჩვე-
ნა, რომ სადღაც ბნელ ოთახში სმინავს, ბოლოს
იგრძნო, რომ ბაჟში ჩალაზე წევს. თინა თავის ჩა-
ლის ქუდიდან სახეზე ცივ წეალს ასხამდა. ლიკლ-
ტიკლი მთლათ გაწუწული იქო და სიცილით წამო-
იმახა: რას შვრები მაგას, თინა! ემაწვილებმა რომ
გაიგეს მისი ხმა გაეხარდათ. სისარულით ორივენი
ატირდენ.

— ჩვენ გვეგონა რომ მოკვდი!

— არა, უსასუხა ლიკლ-ტიკლმა. მკონი—რომ ფე-
ხები მოძემტვრა. ვეღარ დავძრულვარ. სელები გააწ-
ვდინა და ხახა რომ თინას და მოლლის ეველა მისა-
გან მოგებული კოჭები ზედ მუხლებზე ეჯარა.

მოლლიმ, ტირილისაგან მთლათ გაწითლებული
თვალებით, უთხრა:— სედვ, რამდენი კოჭები მოგეცით!

თინამაც დაუმატა:— გვეგონა რომ მოკვდი, მაგ-
რამ შენ ხომ შენი სიტუაცია აასრულე.

ლიკლ-ტიკლს ფეხები სრულებით არ დაშავებოւ-
და, ხოლო მარჯვენა ლოეა, თვალ ქვეშ, რქას დაე-
ფხაჭნა. გაწითლებული და დასიებული ჭქონდა, თვა-
ლი სულ დაპატარებოდა.

— შენ თვალი ახალ დაბადებულ კუტს მიგიგავს,
უთხრა გულ ნატკენათ თინამ.

ლიკლ-ტიკლის ისე უხაროდა ლამაზი კოჭები, რომ უურადღება ბრაფერს არ მიაქცია. სამივენი გაიქცენ საჯინიბოძი და ისე მიაძღენ სტაფილოს, რომ მნელი წარმოსადგენია, როგორ არ აწევინა.

სულ დაღამებული იუო, როდესაც ბავშები კალორზე თამაშობის შემდეგ სახლში დაბრუნდენ. სტუმრებიც მოსულიერენ. გადიას იმდენი საქმე ჰქონდა, რომ უმაწვილების დაგვიანება ვერც კი ძეამჩნია. ლიკლ-ტიკლი ისე დაჯდა ჩრდილში, რომ გადიამ ჯერ ვერ დაინახა მისი გასიებული ლოეა და, როდესაც შეამჩნია ბუზღუნით წამოიძახა:

— გაგონილა ამისთანა ბავში! ამისთანა მოუსვენარი, რას არ მოიგონებს, განა მოზეერზე ბავში შეჯდება?

მართლაც ლიკლ-ტიკლი მუტათ მოუსვენარი ბავში იუო. ცალი თვალი დასიებული ჸქონდა, ლოეა გალურჯებული. გადიამ მობანა სახე. მერე ბლომათ აჭამა ბავშებს ტკბილეულობა. ამავე დროს მოსამსახურე ქალი შემოვიდა და უთხრა გადიას:

— კითხულობენ ორივე ბავშს. სასტუმრო ოთახში შეიუვანე.

გადია შეწუხდა, როგორ უნდა ეჩვენებინა სტუმრებისთვის ლიკლ-ტიკლი. მაგრამ რა გაეწუობოდა! მორთო თეთრ კაბებში ორივე ბავში, მოლლი სწორეთ ლამაზი იუო. მაგრამ ლიკლ-ტიკლს რა ეშველებოდა: თვალს სულ ვერ ახელდა, დასიებული ლო

ეს ჩალურჯებული ჭქონდა. სამზარეულოდან ფქვილი მოიტანეს, ლოეაზე დააყარეს, მაგრამ ამან ბევრი არა უშეველა რა.

სასტუმრო ოთახი გაჩაღებული იქო, ლიკლ-ტიკლი თუმცა ცდილობდა თავისი მარჯვენა ლოუა და ემალა, მაგრამ ვერ მოახერხა. მალუა პოლიამ გაოცებული შეჰქვირა. ემაწვილებმა ეგელაფერი უამბეს. სტუმრებს უკვირდათ ლიკლ-ტიკლის გადარჩენა—ან თვალი როგორ არ ამოითხარა, და ან კისერი არ მოიტეხაო. ლიკლ-ტიკლი სირცხვილით თავს მაღლა ვერ იღებდა. ამ ღროს მოესმა სიცილი: „მოზევეზე სეირნობა მართლაც რომ საკვირველია“. ლიკლ-ტიკლმა თავი მაღლა აიღო და სისარულით მიეარდა ამის მოქმედ კაცს. „ბიძა ჯეპ, თქვენა სართ“ თურმე ეს ამ ემაწვილის ნაცნობი კაცი ჟოფილიერ, რომელიც ამათ სახელოვან სტუმრათ მიაჩნდათ. ამ კაცმა უამბო ეგელას, როგორ ეშმაკურათ დაიძალა ლიკლ-ტიკლი ავტომობილში. ეს ამბავი სიცილათ არ ეკოთ.


ბიძა ჯეპმა ლიკლ-ტიკლი კალთაში ჩაისვა და სანამ ძილის ღრო არ მოუვიდა, სულ ელაპარაკებოდა. მერე გამოსალმების ღროს უთხრა ორივეს: რადგან მოუსვენარი ბავშვი უოფილხართ, დასასჯელათ სელები. გამომიშვირეთ და შეგ ჩაუდო კოშების საუდელი უული.—მხოლოთ ერთი პირობით, რომ დღეის იქით მაგ გვარათ ადარ იგიუთ. ვის გაუგონია მო-


ზეერზე სეირნობა! თქვა მან ღიმილით.

შემდეგშიაც ხშირათ ხედავდა ლიკლ-ტიკლი ბი-
მია ჯეპს. უოველ შობას და დაბადების დღეს ლიკლ-
ტიკლი მიიღებდა ხოლმე საჩუქრათ კონფეტებს და
დრონი კოლოფებით. კოლოფების სახურავზე გამო-
სატული იუო ხოლმე ხბოები და ზედ შემდეგი წარ-
წერა: ეშმაკ გოგონას, რომელმაც მოზეერით ისეირნა!

(დასასრული შემდეგ)

ან. წერეთელი.





გიგანტი და გოგია.



იგლავ, სად სარ? ორი დღეა
 არა სხანს არ, ბიჭო გარეთ,
 — სახლში ციგას ვაკეთებდი,
 გამალებით, გულ მხურვალეთ.

ვენახიდან თუ კუნძები
 მარსილით არ მივიტანე,
 აბა, ჩვენს სახლს რა გაათბობს
 უიმისოდ, გეთაუვანე!

— გუშინ მეც კი შევაკეთე
 სულ უბრალოთ ჩემი ციგა;
 მხოლოდ ჯერ კი ისე არის,
 არაფერი გამირიგა.

დღეს ხომ ბიჭო, კარგი დღეა,
 სახლიკინო, სახრიალო,
 მოდი ტუისკენ გაუტიოთ,
 მოვათრიოთ თითო ნალო.

შიო მღვიმელი.



პენჭაობა.

ქ მაშ, გოგო, გარეკე ბატები. ზემო უბნის გო გოებმა რაცა წ. ნია წაასხეს ბატები, დაუძახა ნენემ თავის ქალს.

კეკე საჩქაროთ წამოდგა, მონახა თოფრაკი, დი დი უუა შური მოიტეხა და შიგ ჩადო. მერე შოლტი აიღო და გარეკა ბატები.

როცა „სატის—მიწა“ ზე მირეკა ბატები დაინახა რომ გოგოები უკვე გამზადებული იუვენ წილის სა ურელათ. რომ დაინახეს კეკე ერთმა მათგანმა დაუ უვირა:

— აბა, მოდი ჩქარა, მე არ დასაცალებელო, და რიგში ჩადექი.

— ასი კი იქნება შენზე, რომ დარჩე დღეს ბა ტების უარაულათ და ვეღარ იკენჭაო, უთხრა მეორე გოგომ.

კეკემ მიირბინა საჩქაროთ და გგერდით ამოუდ გა ერთ ჟატარა გოგონას.

— აბა, მარა, გათვალე! რალას უცდი, უშელა აქ ვართ! უთხრა მაკამ.

— მოითმინე, გაჩუმდით, თორემ ვიცი თქვენი ამ ბავი. მერე ვინმე შემიძლის და შალს მომიგებს.

— კარგი და, ჩქარა, თორემ ბატები გაგვეფანა ტება და ვეღარ გიკენჭავებთ:

— აბა, ვიწევებ! და მარომ დაიწეო გათვლა.

„ონი, ონი, ეპიტონი, დერციკონი, ნაბრიბოლი, ირიშკი, მირიშკი, ლიკა, ლაკა,—და ონი.

— შენ გახვედი, ქეთო! უთხრა მარომ.

ვისაც უკანასკნელათ ერგებოდა „ონი“ იმას არ მიუეენებდენ ბატებს. ოცა მარომ გაათავა გათვლა შესვდა ათი წლის მაჟას ბატების უურის გრება. მაჟას არ იამა, მაგრამ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა. მაჟამ აიღო შოლტი და დაიწეო მინდვრის გარშემო სიარული, ომი ბატები არ გაფანტულივენ. დანარჩენი გოგოები გაითვალენ მეორეთ და ოთხ ოთხნი დასხდენ მწვანეზე და იწევს კენჭაობა.

კეპეს, მაროს, თინას და მაკროს ერთად მოუხდათ კენჭაობა. კეპე და მაკრო უველაზე პატარები იუვენ, და ითვლებოდენ სუსტ მოთამაშეთ, და არც კარგა დათვლა იცოდენ. ამიტომ მარომ კეპე დაიმეურბრა და თინამ მაკრო.

— მარო, აბა დავიწეოთ, უთხრა თინამ.—ვინც მეტი გადმოკაფოს—იმან დაიწეოს თამაშობა.

— კარგი, უაბულს ვარ, აბა დაიწევ.

თინამ აიღო ხუთი პატარა რეგვალი კენჭი, მარჯვენა ხელის გულზე გაისწორა, აისროლა მაღლა,

სისწრაფით გადმოაბრუნა სელი და მცუშვირა მარა ჯვენავე ხელის ზურგი და ზედ დაიუენა სამი კენჭი. მერე ეს სამი კენჭი ისევ მაღლა აისროლა და მუ-ჭაში დაიჭირა.

მალიან არ იამა თინას, რომ ხუთივე კენჭი არ გადმოჰქმდა. ასელა მარომ აიღო ხუთივე კენჭი, სის-წრაფით აისროლა და ხუთივე დაიუენა მარჯვენა ხე-ლის ზურგზე. და მერე წინ, თოთებისკენ ხუთივე გადმოჰქმდა.

მაშ შენ უნდა დაიწეო, უთხრა თინამ,—იცოდე ჩვენი პირობა. ასე უნდა: ოცდაერთი თავისი თოვა — კაფით, ჩუმ-ჩუმ წეატუნით, ვინც წააგებს მაშინათვე ქინძისთავები უნდა გადმოიღონ.

ეს პირობა იმას ნიშნავდა, რომ ვინც მალე შე-ასრულებდა ამ პირობებს—ის გაიმარჯვებდა და ქინ-მისთავებსაც მიიღებდა.

სწორეთ კარგი სანახავი იუო იმ დღეს “ხატის მიწა“. ასე ეძახდენ პატარა მინდორს სოფელ ქურ-თაში, სადაც პატარა გოგო-ბიჭები უდგენ ბატებს და ინდოურებს. შეა ალაგას რამდენიმე დიდი ნერ-გები იდგა ჩამწერივებული და ამ ნერგების ჩრდილ ქვეშ გაფანტული იუვენ გოგოები და გაეჩაღებინათ თამაშობა. იმათ გარშემო ბატები დასისინებდენ და მაკა შოლტით გარს უვლიდა. კენჭაობის დროს ისე-თი წეაპა-წეუბი გაჭერნდათ, რომ გეგონებოდათ კენ-ჭის სეტევა მოღისო, იმათი სათხათ—სიცილი ბატე-

ბის სისინს ხმას აძლევდა. თუ მოხდებოდა, რომ გოგოები ერთათ გაიცინებდენ, მაშინ ბატების სისინი, მამალი ინდოურების კივილი ერთად აირეოდა, მაგრამ გოგოები ისე იუკენ გართულნი თამაშობაში, რომ ინდოურების კავკავი სრულებით არ ესმოდათ.

თინამ მარჯვენა ხელით მოფანტა მიწაზე ხუთივე კენჭი.

— მარო, უნმრეველი ვითამაშოთ, თუ მრეველი?

— აბა, მე რომ ამხანაგი მუავს — რას ამბობ, გოგო, ხომ არ გაგიუდი! განა ამათთან უნმრეველის თამაშობა შეიძლება? უთხრა მარომ.

უნმრეველი თამაშობა იმას ნიშნავდა, რომ თავ მაშობის დროს ძირს დარჩენილ კენჭისთვის ხელი არ უნდა შოეხვედროთ. თუ ხელს მოახვედრიდენ — ეს უკვე ცდენათ ითვლებოდა. მაშ აკრე, მრევა არის და პენჭების გასწორება არა.

თინამ ერთი კენჭი მარჯვენა ხელში აიღო, აისროლა მაღლადა სანამ ასროლილი კენჭი ჩამოვარდებოდა — ადგილიდან სისწრაფით აიღო ურთი კენჭი და ზემოდან წამოსული კენჭი ამ კენჭთან ერთად ხელში დაიჰირა. ასე აკრიფა ოთხთავე. ესეც შენი თითოლა.

რადგანაც თითო-თითო აკრიფა — ამას ეძახიან თითოლას.

ახლა ოროლა: თინამ მოფანტა ხუთივე კენჭი. ერთი კენჭი მარჯვენა ხელში აიღო, აისროლა მაღლადა და სანამ ზეგით ასროლილი კენჭი ქვემოთ ჩა-

მოვიდოდა — სისწრაფით მოსხლიტა ორი კენჭი ერთად. მაშინვე ზემოდან წამოსული კენჭი იმ ორ გმინჭთან მუჭაში დაიჭირა. ეს ორი კენჭი ცალკე გადასდო და ასევე მოსხლიტა დანარჩენი ორი კენჭი.

თინამ განაგრძო თამაშობა: აიღო ხუთთავე კენჭი მუჭაში, სიფრთხილით მოფანტა ეს ხუთივე კენჭი მირს. ერთი კენჭი ამ ხუთიდან მარჯვენა ხელში აიღო, გაფრთხილებოთ მაღლა აისროლა და სანამ ასროლილი კენჭი ქვემოთ წამოვიდოდა — ისევე სისწრაფით მოსხვლიტა სამი კენჭი და ამ სამ კენჭთან დაიჭირა ზემოდან წამოსული ერთი კენჭი. სამი კენჭი იქით გადასდო და ისევ ამნაირათ აიტაცა ის ერთი დარჩენილი კენჭიც. ესეც შენი სამ-სამა, წამიძახა თინამ.

თინამ განაგრძო ისევ კენჭაობა. მარჯვენა მუჭაში გაისწორა ხუთივე კენჭი. ერთი იმათგანი აისროლა და სანამ ასროლილი კენჭი ქვემოთ წამოგიდოდა — დანარჩენი ოთხი კენჭი სისწრაფით მირს დასდო და ორმ კენჭები არ გაფანტულივენ სისწრაფითვე მიაშველა ხელი. კენჭი მირს არ დაუშვა და მუჭაში დაიჭირა. მერე ეს მუჭაში დაჭერილი კენჭი ისევ მაღლა აისროლა და სანამ მირს დაეშვებოდა — ოთხთავე კენჭი მოსხვლიტა და სე ერთად დაიჭირა მუჭაში.

— უოჩაღ გოგო, რა კარგათ აიუვანე თოფა, უთხრა კეყეპ.

— შენ მოგიკვდეს თავი, რათ მინდა შენი ქვბა,
უთხრა ამაუათ თინამ. ახლა, ვოგოებო, კაფა.

თინამ ხუთთავე კენჭი ხელის გულზე გაისწორა,
მერე აისროლა ხუთთავე კენჭი, სისწრაფით გადმო
იბრუნა ხელი და მიაშველა კენჭებს ხელის ზურგი და
ზედ ხუთთავე კენჭი გააჩერა, მერე წინ, თითებისკენ
ეს ხუთთავე კენჭი გადმოიღო, გადმოჰყაფა და მუჭა-
ში ხუთივე დაიჭირა. აი ესეც შენი ხუთი. წამოიძა-
ხა გახარებულმა თინამ.


ამ გვარათ თინამ გადმოჰყაფა ოცდაერთი კენჭი.
მერე მიაუოლა გათავების თითოლა. ეს თითოლა იმას
ნიშნავდა თუ ამ თითოლის დროს უცდებოდა ე. ი.
აგდებულ კენჭს ძირს დაუშვებდა, მაშინ ოცდაერთის
აგ ივრათ თერთმეტზე დადგებოდა და თავიდან უნდა
მდაეწუო თამაშობა. რასაკირგელია, როცა მისი თა-
მაშობის ჯერი მოვიდოდა.

თინამ გათავების თითოლა ისე აკრიფა, რომ
კენჭი—კენჭს არ მოახვედრა. მერე მიაუოლა თო-
ფა და კაფა ე. ი. თოვა აიუვანა თერთმეტჯერ.
ზედ მიაუოლა ჩუმ-ჩუმა წერტუნა. ჩუმჩუმა იმას ნიშ-
ნავდა, რომ თითოლის აუვანის დროს კენჭი კენჭი
სთვის არ უნდა მოეხვედრა, როცა იქერდა მუჭაში
ასროლილ კენჭს. წერტუნა კი იმას ნიშნავდა, რომ
თითოლის დროს, როცა ასროლილ კენჭს იქერდა—
კენჭი კენჭისთვის უთუოდ უნდა მიეხვედრა და მისი
ტკაცუნი გველას გაეგო.

გოგოები სისარულით თინას გამარჯვებას ულო-
ცავდენ, ესვეოდენ და კოცნიდენ.

ამითი გათავდა დღეს „სატის მიწაზე“, გოგოე-
ბის კენჭაობა. ეველანი კმაულოვილნი გაიფანტენ.

თაშარა მაჩაბელი.



(ძველი თბილისი)

მუვანიერი დედოფალი გიულიზარი.



აჭარელი ზღაპარი.

უო და ბრა იუო რა, იუო ქრთი მეუმ,
სახელათ მამედი. სიკვდილის დროს მო-
იხმო სამი თავისი ვაჟი შვილი და უთხრა მათ:

„შვილებო, ოუ დაღუბვა არ გინდათ, არას დროს
არ შეხვიდეთ იმ ქვეყანაში, რომელიც მდებარეობს
სამხრეთით, შვიდი ლურჯი მთის იქით. ის მშვენი-
ერა, იქ სურნელებას აკმევენ აუარებელი ვარდუვა-
ვილნი, გალობენ გასაოცარნი ფრთოსანნი, მაგრამ
იქ არ არის არც ერთი წოცხალი ადამიანის სული
და მშვენიერნი მდელონი მსოლოდ კაცთა ჩონჩხებით
არის მოვენილი.

მოსმინეს უფლის წელთ მამის ანდერმი, მაგ-
რამ დასაფლავების უმალ, დაარღვიეს იგი, და აი-
უფროსი მძა, გახელებული ცნობის მოუვარეობით,
მოემზადა წასასვლელათ და დიდის და ბრწეინვალე
ამალით გაუდგა გზას. მძები ელოდენ, ელოდენ დი-
ღხანს უფროსის დაბრუნებას, მაგრამ ამაოთ. უკვე
წლის თავი იუო იმის წასვლისა, როცა შუათანა მძამ
გადასწევიტა და ბედის საცდელათ ახლა ის წავიდა
უცნობ ქვეყანაში და თან გაიეოლია დიდი ჯარი და
ამანათი.

მაგრამ შუათანა მძასაც იგივე ბედი ეწია, აღარც
ის და აღარც იმის ჯარი შინ არ დაბრუნდა.

მაშინ წავიდა უმცროსი მმა, სახელათ ალი.

წასვლის წინად თემი მოიხმო და მას ჩაასარა მართვა ქვეუნისა და თვითონ კი მარტოთ-მარტო გა-
უდგა მაცდურ გზასა.

ბეგრი იარა, ცოტა იარა? ალაჟმა უწეის! და აი
ის გადავიდა მეშვიდე ლურჯ მთის იქით. აქ მის
თვებლწინ გაძლილი იუო თვალ უწვდენელი მდელო
ლამაზათ და ტურფათ ჭევაოდენ სურნელოვანნი ტუ-
რფა უვავილნი. მდელოს გარშემო შემომსხდარ მთე-
ბის კალთები სავსე იუვენ ვაშლის, მსხლის, ატმის
და მრავალ სხვა სილის სეხილნარებით, რომლებზე-
დაც ღვთიურის გალობით ჭიკჭიკობდენ ფრინველთ
გუნდები. მდელოს შუა გულს, მაღალის ჩინარებით
გარშემორტემული იდგა ბროლის კოშკი. კოშკის გარ-
შემო მე ადამიანი არავინ ჭაჭანებდა, მხოლოდ ბეგ-
რი იუო დაწნეული მის გარშემო ძვლები წუთი სო-
ფელ გამოსალმებულებისა. მოაკონდა ალის მამის
გაფრთხილება და ცას შეხედა. იქ დაინახა პატა-
რა რამ შავი ღრუბელი, რომელიც მოახლოვების
დროს აღმოჩნდა ოქროს ფრთხისანი რაში; ზედ იკ-
და ოქროს აბჯარ ასხმული მშვენიერი მხედარი. ალი
საჩქაროდ შემგრა ვაშლის ხის ფუღუროში და იქი-
დნ უთვალთვალებდა. მხედარი მიწაზე დაშვების უმაღ-
მის ჩამოვიდა, ოქროს ფრთხისანი რაში გაუშვა და
თვითონ კი ბროლის კოშკისკენ გაეშურა.

ალი გამომვრა თავის საფარიდან და შეუმჩნევ-



ლად გაჭივა საოცარ მხედარს, რომელიც კოშკში შეასვლის უმაღლ ტახტზე წამოწვა და დაეძინა. მაშინ აღი მხედრის რაშს დაუბრუნდა და გაოცებით შეჭრულებდა იმის თქოს ფრთებს, დახუჭუჭებულ ხშირ ჟაფარს და გძელ კუდს, რომელიც სიოს შეხებისთანავე ლდნავ თრთოდა.

— მე ამას ხელიდან აღარ გაუშვებ, შესძახა აღ-ტაცებით ალიმ, მაგრამ ცხენმა, თითქოს მიუხვდა გან-ძრახვას, შესძახა: „შენ ნუ გაჭბედავ და ნუ ედები ჩემს დაჭერას, სჯობს მომისმინე რასაც გეტუვი. შენ გაგიმხელ საიდუმლოს ჩემი მხედრისას, რომელიც დედოფალი გიულიზარია. ის განთქმულია თავისი სიმშვენიერით, სიმარდით და უშიშრობით. თავის სი-ცოცხლეში მრავლად დახოცა მეფეთა წულნი, რო-მელნიც ემებდენ იმის ტრფიალს და გადასწუგიტა, რომ გაჭივება ცოლად მხოლოდ იმ გაქაცს, რომე-ლიც დასძლებეს იმას თავისი ღონით. ესლა იმას სმი-ნავს. წადი კოშკი, შეჭკარ, შებოჭე და ისე აკოცე. ის მაშინვე გამოიღვიძებს, დაგიწევის ხეეწნას, რომ გაანთავისუფლო, მაგრამ არ დასთანხმდე, მანამ არ შემოგვიცოს ჩემის სახელით, რომ ქმრათ შეგირთავს.„

მაღლობა უთხრა თავის ასალ მეგობარს ალიმ და გაეშურა მშვენიერი სადგომისაკენ.

ალი ოთახში შევიდა და დაინახა მზეთუნახავი. კინაღამ შეჭევირა აღტაცებით, მაგრამ მოაგონდა ახა-ლი მეგობრის დარიგება; ქალი შეჭკრა, მერე აკოცა.

გამოღვიძების უმაღლ გიულიშვილი შეემუდარა უმარტვილს. სელი გამისცენო, მაგრამ ის მაგრად იდგა და მანამ არ გაანთვისეუფლა მინამ ქალმა ცოლობაზე არ შეჰვიცა რაშის სახელით.

ბედნიერათ იწყეს ცხოვრება ალიმ და გიულიშვილი.—აღსავსე იუვნენ ბუნებით მოძღვნილი სიძლიდორით. ალის უევარდა ნადირობა, მაგრამ გიულიშვის თავს ვერ ანებებდა, მალა არ ჭირდა ერთი დღითაც განშორებოდა. მაშინ ცოლმა ჭაბუკს აჩუქა თეთრი ვაშლი, რომელზედაც მშვენივრათ იუო ქალის სურათი ამოჭრილი.

ალი უოგელთვის თან ატარებდა ამ სურათს და საშინელი იუო იმის მწუსარება, როდესაც ერთხელ ცხენის გაფენების დროს, ვაშლი გავარდა და მჩქეფარე მდინარემ სწრაფად წაიღო. შეწუხებული დაბრუნდა ალი სახლში, მაგრამ გიულიშვის არა უთხრა რა.

ვაშლი კი მდინარემ მეზობელ მეფის ტბაში შეაცურა. მეფემ შენიშნა, ამოაღებინა და რომ დაინახა ვაშლზე სურათი გადაირია. და მსწრაფლ მოიხმო თვისი ამალა:

— ჩემ სელთ არის ვაშლი, რომელზედაც ამოჭრილია მშვენიერი მეფე. ვინც იმას მიპოვნის და აქ მომიუვანს, ნახევარ სამეფოს იმას დავუთმობ. გამოუცხადეთ ჩემ ქვეშერდომებს.

ბევრნი გამოჩნდენ ნახევარ სამეფოს დაპატიროვნების მსურველები, მაგრამ ვერავინ ალასრულა მეფის



სურვილი. ერთ დღეს მივიდა ვიღაც მოხუცი დედა-
შერი და გაჭევა მდინარეს იმ მსარისაკენ, საიდანაც
ვამლი მოცურდა მეფის აუზში.

დიდ სანს იარა, თუ ცოტა სანს ალტქმა უწეის!

— ბოლოს მიადგა ბროლის კოშკს, საიდანაც
ალი ის ის იუო სანადიროთ წასვლას ემხადებოდა
და გიულიზარი კარში გამოჭევა გასაცილებლად. ბე-
ბერმა იცნო ვამლზე ამოჭრილი მშვენიერება. დაბ-
ლათ დაუკრა თავი მეფე-დედოფალს და შეევედრა ბი-
ნა მიეცათ მაშვრალისათვის.

ალი სისარულით დასთანხმდა მასპინძლობაზე და
უსაროდა კიდეც, რომ იმის მისვლამდე ძვირფასი მე-
უღლე გიულიზარი გაერთობოდა სტუმრის ბასმი.

ნადირობიდან დაბრუნებულმა ალიმ მოხუცი დე-
დაუკაცი სუფრბზე მიიწვია და მოხუცსაც სწორედ ეს
ენატრებოდა. იმან ლვინოში ჩაერა დასამინებელი
რაღაცა ფუნილი. მის დალევის შემდეგ მეფე-დედო-
ფალს ერთბაშათ მილი მიეცათ. მაშინ კუდიანმა
დედაკაცმა სელი დაავლო მშვენიერ გიულიზარს, გა-
იტაცა მდინარის პირას და იქ მდგომ ნავში ჩასდო.
სელი ჰქონა ნავს და ძეირფასის მონატაცით გასცე-
რა. მდინარემ იმავე გზით, რომლითაც ქალის სურა-
თიანი ვამლი ჩაიტანა მეზობელ მეფის ტბაში და გა-
ავიქა იმისი მნასველი, ახლა თავის ტალღებით გა-
აქანა თვით ნამდვილი მზეთ უნახავი მშვენიერი გი-
ულიზარი. ბებერმა ქალი გამოადგიმა და თვითონ

მეფესთან გაიქცა სამახრობლოთ. აღტაცებული მეფე ბაღძი წავიდა და დაინახა ამ დროს ტბიდან ამოსული, ეშვით სავსე და დილის ცისკრით განათებული მშვენიერება. დაბლა თავი დაუკრა მეფემ გასაოცარ ქმნილებას და სთხოვა იმის სიუვარული და მეგობრობა. შემდეგ ბრძანება გასცა მოემზადებინათ დედოფლის საუკეთესო დარბაზები და კუდიანი დედაკაცის ფლის ჯალდოთ მიეცათ სამეფოს ნახევარი ნაწილი.

ალის კი ემინა ორი დღე და ღამე, როცა გაიღვიძა, უკელაფერს მიხვდა. მაშინვე მოიხმო ფრთის სანი რაში, მოაჯდა მას და გაუდგა იმ სამეფოს გზას, სადაც დატევევებული იუო იმისი მშვენიერთ გიულიზარი.

გიულიზარიც მიხვდა, რაშიაც იუო საქმე, თავი მოიკატუნა და თანხმობა უთხრა მეფეს ცოლობაზე.

ამ დროს ალი უკვე ამ სამეფოს ქალაქში იუო. იმან რაში გაუშვა და გამოაძრო მხოლოთ ფაფარის ბეწვი. თვითონ კი დასახლდა ერთ კეთილ ბებერ ქალის სახლში და იქ შეიტეო, რომ აქაური მეფე საქორწილოთ ემზადებოდა და სარმლოთ იუო გამზადებული იმისი სატრუო გიულიზარი. ალი წავიდა სასახლისაკენ იმ იმედით, რომ დაენახა სადმე თავისი ცოლი. მართლაც, გიულიზარი ფანჯარაში იჯდა და გაჭეურებდა გზას, საიდნაც უთუოთ უნდა მოსულიყო იმისი დასახსნელით მისი ქმარი. და მართლაც, მალე დაინახა აქეთ წამოსული ალი და ანიშ-

ნა მას, რომ ხვალ უთუოთ ისიც დასწრობოდა მე-
ფის ქორწილს. ამ მხრის ჩვეულება იუო, რომ დე-
დოფალი უნდა ჩარეულიყო წვეულთა შორის გაძარ-
თულ ჯირითობაში, მხოლოდ საჯდომათ ქალს უნდა
ამოერჩია საუკეთესო მერანი რომელიმე სტუმრისა.

მთელი დამე არ სძინებია ალის. დილა ადრიან
მადლობა უთხრა კეთილ მოსუცს მასპინძლობისთვის
და გავიდა ქალაქ გარედ. იქ ცეცხლი მოუკიდა რა-
შის ფაფრის ოქროს ბეწვს. იმავ წამს გახნდა ბლის
წინ იმისი ოქროს ფრთოსანი.

მეფის კარს იკრიფებოდენ წმინდა რაზმები: მე-
ფინი და დედოფალი, თავადნი და წარჩინებულნი,
გამოხენილი მოჯირითენი. ესენი უველანი გარს უგ-
ლიდენ, შეჭხაროდენ თავიანთ რაშებს, შეკმაზულებს
ძვირფასის რახტებით და მოუთმენლად მოელოდენ
დედოფლის გამოსვლას. თითო-თითოდ უკელა მათგა-
ნი იმედობდა, რომ გიულიზარი ამოირჩევდა იმის ბე-
დაურს. ალი სულ ბოლოს მიიჭრა თავისი ფრთო-
სანი რაშით და რიგში ჩადგა სხვა სტუმრთ შორის.
აი მოისმა სასიხარულო უიქინა და გამოჩნდენ მე-
ფე-დედოფალი, რომელნიც არაბულ მერნებზე ისხ-
დენ, ძვირფასის ოვალმარგალიტით შეკაზმულებზე.
მეფე ლძობიერათ ესალმებოდა ძვირფასს სტუმრებს,
რომელნიც ჩამწერივდენ გაშლილ მინდორზე და ცა-
ლის ხელით ძლივს იმავრებდენ თავიანთ რაშებს,
რომელთა შორის გიულიზარს უნდა აერჩია თავი-
სი საჯირითო.

მეფე-დედოფალი ჩამოხტენ. მეფე შეგიდა ამ დღი-
სთვის საგანგებოთ მომზადებულ ვარდ-უგავილებით
შექულ ფანხატურში; დედოფალი კი მარტოთ მარ-
ტო გაემგზავრა ცხენოსანთა შორის მერანის ასარ-
ჩევაო. ის უველასთან მიღიოდა ტკბილის სალამით
და ათვალიერებდა მერანს. მხედარნი დედა-მიწამდის
თავ-დაკვრით უხვდებოდენ მშვენიერ ასულს, რომე-
ლიც ერთი მხედრიდან გადადიოდა მეორესთან. გი-
ულიზარშა დიდი სანია შენიშვნა მათ შორის თავისი
სატრფო—ალი, მაგრამ არაფრით არ განცხადა თა-
ვისი სისარული და აი ჯერი მიდგა იმასთან მისვ-
ლისაც. ამ დროს ალი უცებ ჩამოხტა თავის რაში-
დან, დასწევდა მშვენიერს და თვალის დახამსამებაბდე
გაჭკურცხლა. ჭაერში გაჭკრა თავისი ფრთოსანით.

სახტად დარჩენ წვეულთ რაზები, მსოლოთ მე-
ფემ მკაცრად შესძახა: „დაიჭით, დაიჭით, მაგრამ ბე-
დნიერი ალი სატრფოთი აღარსად სჩანდა და მეფე
დარჩა პირ დადებული და ნახევარ სამეფო წართ-
მეული.

ოქროს ფრთოსანშა ალი მეუღლითურთ ახლა
მიიეგანა ალის ძველ სამშობლოში და იქ გამეფდა
ალი. ბედნიერი თავისი ძვირფასი გიულიზარით, რო-
მელთანაც სიკვდილამდე ბედნიერათ სცხოვრობდა და
ორ შეერთებულ სახელმწიფოს ბედნიერათ მფლობე-
ლობდა და უველა მათ ბედნიერებას შენატროდა.

(თარგმანი)

ეკ. გაბაშვილი.

პოლო და მისი ამხანაგები.



როგორაც ცხოვრობდა
ერთი ძუ მგელი.

ექში ერთი ასალგაზრდა მუ მგელი ცხოვრობდა. ის ღონიერი და დიდი იყო. სმირი ბალანი უვითეს ფერისა ჭქონდა, შიგადა შიგ შავი ფერი ერთა. ოფალები წოტა მოელობე, ჭკვიანი. უწერები მაღლა აცქვეტილი, თითქოს უურისაგდებლათ. კუდი ძირს დაშვებული—მსხვილი და ბანჯდებლიანი. მუ მგელს ფეხები ღონიერი ჭქონდა. მგლია სოვის მეტათ საჭიროა მაგარი ფეხები, რომ მონადირეს თავი ადგილათ დააღწიოს. ნათქვამია: მგელს მარდი ფეხები ასაზრდოებსო. ღონიერი ფეხები რომ არა ჭქონდეს, ვერც ხეირიანათ იცხოვრებს ქვეუანაზე. მას კიდევ მაგარი, წვეტიანი კბილები აქვს და მარდ ფეხებზე ნაკლებათ არ უწევს სარგებლობას. მუ— მგლის საშინელ კბილებს შეუძლია ერთი კბილის მიკარებით მროხას გაიღვლიავს მთელი ცური. რაც უნდა მაგარი ძვალი შეხვდეს—წამს გადაღრდნის.

